წერილის ნომერი: **30-30211794**
თარიღი: **28/06/2021**
პინი: **4674**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

„2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისთვის 2021-2022 წლებში განსაკარგი ჯამური თანხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 ივნისის №920 განკარგულების შესაბამისად. განსახილველად და მოსაწონებლად, წარმოგიდგინეთ ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2021-2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

გთხოვთ, განიხილოთ და მოიწონოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2021 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „2020 -2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებისა და „2020 -2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისათვის 2021 - 2022 წლებში განსაკარგავი ჯამური თანხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 ივნისის N928 განკარგულების შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „2020 -2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დანართი 1. საპროექტო იდეის განაცხადის ფორმა

საპროექტო იდეის სახელწოდება	*მიუთითეთ წარმოდგენილი პროექტის მოკლე სახელწოდება მის შინაარსზე მითითებით* ***ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათში, კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ელექტროფიცირება მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამაღლებისა და ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირების მიზნით***
სრიგპ-სთან შესაბამისობა	*წარმოდგენილი პროექტი შესაბამისობაშია პრიორიტეტი* *2. „უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა* *1. ქვე-ღონისძიება 2.1. ა. ტურისტებისთვის ბუნების და* *მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის* *განვითარება*
საპროექტო იდეის წარმდგენი	*მიუთითეთ საპროექტო იდეეს ოფიციალური წარმდგენი* *<<განმცხადებელი არის მუნიციპალიტეტი რომელიც დაფინანსებისთვის განაცხადით მიმართავს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს)>* ***ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია***
	ერთობლივი პროექტების შემთხვევაში, მიუთითეთ ძირითადი და პარტნიორი მუნიციპალიტეტ(ებ)ი: *<< მოცემული კონკურსისთვის, პარტნიორი არიან ორგანიზაციები, სააგენტოები ან/და მუნიციპალიტეტები, რომლებსაც ფულადი კონტრიბუცია არ შეაქვთ პროექტში, ასევე არ მიიღებენ ფინანსურ და მატერიალურ სარგებელს პროექტისაგან.>>* ***პროექტი არ არის ერთობლივი.***
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო წინადადების წარმდგენის მისამართი: ***ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. #37***
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის ელ. - ფოსტა: *<<გთხოვთ მიუთითოთ მოქმედი სამსახურეობრივი ელ. ფოსტა>>* **http://lanchkhuti.gov.ge/** ***lanchkhuti@yahoo.com***
განხორციელების ადგილი	*რეგიონი:* ***გურია***
	მუნიციპალიტეტი: ***ლანჩხუთი***
	იმ ქალაქის/ები, სოფლის/ების ჩამონათვალი (თუ ერთზე მეტში ხორციელდება გააკეთეთ სრული ჩამონათვალი) ***სოფელი ჩიბათი***
პროექტის მიზანი/მიზნები	*ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,200 სიმბოლო* *გთხოვთ, დააკონკრეტოთ პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნები* *<<როგორც წესი, მსგავს პროექტებს აქვს ორი ტიპის მიზანი:* <u>სტრატეგიული მიზნები:</u> • **რეგიონისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის, დასაქმებისა და შემოსავლის ზრდა ტურისტული პოტენციალის ამაღლებისა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხარჯზე.**

	<u>კონკრეტული მიზნები:</u> • ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისთვის კოლხეთის ეროვნულ პარკის ხელმისაწვდომობის ზრდა • ბიზნესთან დაკავშირებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება; *რეკომენდირებულია ლოგიკური ჩარჩოს გამოყენება პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნების, მათი შედეგების, ინდიკატორების და ვარაუდების/რისკების სწორი და ეფექტური ფორმულირებისთვის>>*
მოსალოდნელი შედეგები	*გთხოვთ, დაასახელოთ მოსალოდნელი შედეგები (მაქსიმუმ 2-3 შედეგი), რომელსაც პროექტის განხორციელება მოუტანს მოსახლეობას, ეკონომიკას ან მუნიციპალიტეტს. ასევე, მიუთითეთ კავშირი სრიგპ-ის შესაბამის ღონისძიების/ქვე-ღონისძიების შედეგებზე ან კონკურსის პირობებით განსაზღვრულ შედეგებზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი განსაზღვრულია. (წარმოდგენილი უნდა იყოს ორი ტიპის შედეგი:* *ა) გრძელვადიანი შედეგები (საბოლოო შედეგები) - ცვლილება, რომელიც პროექტს მოაქვს სამიზნე ჯგუფებსთვის მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის სახით პროექტის დასასრულს და ამ ცვლილებას აქვს პოტენციალი, განჭვრეტად მომავალში დადებითი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე.* *ბ) მყისიერი შედეგები - განხორციელების პროცესში ან პროექტის ბოლოს მიღებული პროდუქტი/ინფრასტრუქტურა/ცოდნა, რომელიც ემსახურება გრძელვადიანი შედეგების მიღწევას.* *შედეგები უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი, დროში განსაზღვრული. რეკომენდებულია ლოგიკური ჩარჩოს გამოყენება პროექტის შედეგების სწორად ფორმულირებისთვის).* <u>პროექტის გრძლვადიანი შედეგები:</u> • ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდის ხარჯზე გაზრდილია შემოსავალი ტურიზმიდან, როგორც მუნიციპალურ, ასევე რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე. • ამაღლებულია მუნიციპალიტეტის ცნობადობა • შექმნილია ახალი სამუშაო ადგილები. • გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები; • ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობამ უზრუნველყო ადგილობრივი ბიზნესით წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის ზრდა, <u>პროექტის მყისიერი შედეგები:</u> • მოწყობილია კოლხეთის ეროვნული პარკის დაცულ ტერიტორიებთან მისასვლელი 9,923 კმ. სიგრძის გზა • მდინარე ფიჩორის ნაპირთან მოწყობილია ნავმისადგომი, დასასვენებელი, საპიკნიკე და საპარკინგე ადგილები. • მოწყობილია სპორტული თევზჭერისთვის საჭირო ადგილები. • განხორციელებულია ტურისტული ცენტრის ელექტროფიცირება.

საპროექტო იდეის აღწერა/დასაბუთება	*გთხოვთ, წარმოადგინოთ პროექტის მოკლე აღწერილობა, მის სოციალურ-ეკონომიკურ როლზე და მის მიერ ადგილობრივ და რეგიონულ მასშტაბით ზეგავლენაზე აქცენტის გაკეთებით.* *გთხოვთ, დაასაბუთოთ რატომ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი. დასახელეთ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება პროექტის განხორციელება, პოტენციალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს პროექტის განხორციელებით. ასევე, მიუთითეთ შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებთან ან/და სრიგპ-ში მოცემულ ღონისძიებებთან კავშირი:* ***პროექტის ფარგლებში მოხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში კოლხეთის ეროვნულ პარკამდე მისასვლელი 9,923 კმ-იანი სრულად ამორტიზებული გზის რეაბილიტაცია: გადახვნა, მოხრეშვა, დაგრეიდერება. საჭირო ადგილებზე მოეწყობა სანიაღვრე არხები და სხვა ხელოვნური ნაგებობები. გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის (მუხლი 3) ერთ ერთ ძირითადი ამოცანაა შეინარჩუნოს და დაიცვას თვითმყოფადი ლანდშაფტები და ეკოსისტემები. თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით გზაზე ხელოვნური საფარის მოწყობა მიზანშეწონილი არ არის. მდინარე ფიჩორის ნაპირზე მოეწყობა ნავმისადგომი, სველი წერტილი. საპიკნიკე და საპარკინგე ადგილები. ადგილები სპორტული თევზჭერისთვის, განხორციელდება ტურისტული ცენტრის ელექტროფიცირება,*** ***კოლხეთის ეროვნული პარკის დაცული ტერიტორიების ტურისტულად მიმზიდველი ადგილების ძირითადი ნაწილი (15000 ჰა) მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ეროვნულ პარკში ერთ-ერთ მთავარი მარშრუტია - ტური მდინარე ფიჩორზე, მაგრამ ვინაიდან დღეისათვის არ არსებობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან კოლხეთის ეროვნულ პარკამდე მისასვლელი მოწესრიგებული სამანქანო გზა, რომლითაც უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორები მოახერხებენ გადაადგილებას ეროვნული პარკის ტერიტორიებამდე, ისინი ძირითადად ფოთის მუნიციპალიტეტიდან, პალიასტომის ტბის გავლით გადაადგილდებიან მდინარე ფიჩორზე - ე.წ. „კოლხეთის ჯუნგლებში". ისიც მხოლოდ მზიან ამინდში, რადგან ქარისა და წვიმის შემთხვევაში პალიასტომის ტბის გავლა უსაფრთხო არ არის ვიზიტორებისთვის და ასეთ დროს პარკში აღნიშნული მარშრუტით გადაადგილება აკრძალულია. ეს გზა მოგვცემს შესაძლებლობას ტურისტები მივიღოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან. ამინდის მიუხედავად ისინი შეძლებენ მდინარე ფიჩორზე გასეირნებას. ტურისტებს შესაძლებლობა მიეცემათ დაათვალიერონ მდინარე ფიჩორის შესართავის თვალწარმტაცი ხედი, მდინარის ნაპირზე მოწყობილი დასასვენებელი ადგილიდან შესაძლებელია იქ გავრცელებულ ჭარბტენიან კოლხურ რელიქტურ ტყეზე დაკვირვება, წყლისა და ჭაობის ფრინველების, მდორე წყლების დუმფარის ე.წ. „ზეწრების" დათვალიერება. შესაძლებელია დაიგეგმოს ნავებით, კატერით, პანტონით და კაიაკით გასეირნება, შემდგომ კი კოლხური ტყისა და უნიკალური ჭაობების მონახულება. კოლხეთის ეროვნულ პარკში 100-ზე მეტ სხვადასხვა სახეობის გადამფრენ ფრინველზე დაკვირვებაა შესაძლებელი. ვიზიტორებს მდინარე ფიჩორის ხეობაში სანაოსნო ტურები, ასევე სპორტულ თევზჭერა, ფრინველებზე დაკვირვება (ბერდვოჩინგს) და ეკო-საგანმანათლებლო ტურები შეიძლება შევთავაზოთ. აღნიშნული თავისთავად გაზრდის***

	ტურისტების რაოდენობას მუნიციპალიტეტში და რეგიონში, ასევე აამაღლებს მუნიციპალიტეტისა და რეგიონის ცნობადობას. *განვითარდება არსებული ფერმერული მეურნეობები, - სარეაბილიტაციო გზის მიმდებარედ განთავსებულია 40 ადგილობრივი ფერმერული მეურნეობა. დღეისათვის გზის არ არსებობის გამო ვერ ახერხებენ არსებული პოტენციალის სრულად გამოყენებას. მათთან შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად დადგინდა, რომ მისასვლელი გზის მოწესრიგების შემთხვევაში გადაადგილება გაუმარტივდებათ, შემცირდება გადაადგილებისათვის საჭირო დრო (რაც ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია), გაიზრდება მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა. იმის გამო, რომ გზაზე ინტენსიურად მოხდება უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების გადაადგილება განავითარებენ აგრო ტურიზმს, მოაწყობენ მცირე საოჯახო სასტუმროებს, გაიზრდება პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობა .შეიქმნება მეტი უსაფრთხო გარემო, რადგან გზის არსებობის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელებს გაუადვილდებათ გადაადგილება. უფრო განვითარდება ფერმერული მეურნეობები და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.* *სარეაბილიტაციო გზის მიმდებარედ მცხოვრობ 600 ოჯახს, გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, გაეზრდებათ შემოსავლები.* *პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ტურისტული მიმზიდველობის გაუმჯობესებას, გაუმჯობესებს ადგილობრივი ბიზნესის წარმოების შესაძლებლობას, რაც საბოლოო ჯამში გაუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ დონეს.* *მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულ დოკუმენტებში "ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა", "საშუალოვადიანი განვითარების გეგმა", ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებად სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება განიხილება, ხოლო დაგეგმილ ღონისძიებებში პირველი პრიორიტეტი აღნიშნული გზის მოწესრიგებას ენიჭება.*
ძირითადი აქტივობები	*გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ჩამოთვალეთ ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:* *ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 5,000 სიმბოლო* *<<მოცემული ველი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აქტივობებზე, რომლებიც განხორციელდება პროექტის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. მოცემული ველი უნდა აღწერდეს პროექტის მოსამზადებელ ეტაპებს/სამუშაოებს, მოსახლეობასთან კონსულტაციას, საპროექტო დოკუმენტების წინასწარ შეფასებას, ტენდერებს და კონკურსებს, პროექტის მენეჯმენტს, ტექნიკურ სამუშაოებს, ზედამხედველობას, ანგარიშგებას და ა.შ. აღნიშნულ ველში მითითებული ყველა აქტივობა სათანადოდ უნდა იყოს ასახული პროექტის ბიუჯეტში და დროის განრიგში. წარმოადგინეთ პროექტის მიზნების მისაღწევად საჭირო აქტივობათა დეტალური აღწერა. წარმოადგინეთ, როგორ იქნება სამუშაოები განაწილებული პროექტის განმახორციელებელ დაწესებულებებს/ორგანიზაციებს შორის>>* *პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილია შემდეგი აქტივობების განხორციელება* აქტივობა 1 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება აქტივობა 2 ექსპერტიზის დასკვნის მომზადება. აქტივობა 3 მოსახლეობასთან და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა.

	აქტივობა 4 სატენდერო კომისიის შექმნა აქტივობა 5 სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება აქტივობა 6 ტენდერის გამოცხადება აქტივობა 7 გამარჯვებულის გამოვლენა; აქტივობა 8 ხელშეკრულების გაფორმება გამარჯვებულთან; აქტივობა 9 საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების წარმოება; აქტივობა 7 სამუშაოების მონიტორინგი და შეფასება; აქტივობა 8 შესრულებულ სამუშაოზე საექსპერო დასკვნის მომზადება აქტივობა 9. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება აქტივობა 10. პროექტის ანგარიშის მომზადება-პროექტის დახურვა;
პროგრამისთვის/ ღონისძიებისთვის განსაზღვრულ კონკრეტულ ინდიკატორებში პროექტის მონაწილეობის (წვლილის) დონე	*გთხოვთ, აღწეროთ თუ როგორ უწყობს ხელს პროექტი პროგრამის/ღონისძიებისთვის დადგენილი კონკრეტული ინდიკატორების მიღწევას:* *თუ თქვენი პროექტი არის ინფრასტრუქტურული ან მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერას, მიუთითეთ დასაქმებულთა რაოდენობის საპროგნოზო ზრდა %-ში, . (დასახელეთ დამოწმების წყაროები)* • ***კოლხეთის ეროვნული პარკის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა 2022-2023 წლებში 2019 წელთან შედარებით 30%-ით;*** • ***ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა 2022-2023 წლებში 2019 წელთან შედარებით 15%-ით***
ურთიერთშევსებადობა	*გთხოვთ, მიუთითოთ, ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას.* *გთხოვთ, აღწეროთ, არის თუ არა ეს პროექტი ინტეგრირებული ხასიათის - ანუ ის დაკავშირებულია თუ არა სხვა პროექტებთან ან არის თუ არა უფრო ფართო გეგმის (მაგალითად, რეგენერაციის გეგმის, სატრანსპორტო გეგმის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის და ა.შ.) განხორციელების ნაწილი. თუ ეს ასეა, გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია განხორციელების წყაროს, ღირებულებისა და დროის შესახებ:* ***აღნიშნული პროექტი არ წარმოადგენს სხვა წყაროდან დაფინანსებული პროექტის გაგრძელებას.***
პროექტის მდგრადობა	*გთხოვთ, დასახელოთ ვინ აანაზღაურებს საექსპლუატაციო და მიმდინარე ხარჯებს პროექტის დასრულების შემდგომ? გთხოვთ, დასახელოთ დამფინანსებელი დაწესებულება ან/და დაფინანსების წყარო (ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):* *აღწერეთ როგორ იქნება შენარჩუნებული პროექტის საბოლოო შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ და ვინ/რომელი დაწესებულება/ორგანიზაცია იქნება საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელი.* *<<დაწესებულება/ორგანიზაცია პასუხისმგებელია უზრუნველყოს პროექტის მდგრადობა შესაბამისი რესურსების გამოყენებით. დაწესებულება/ორგანიზაცია ვალდებულია კერძო სექტორის, გარე რესურსების მოზიდვით უზრუნველყოს მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სამუშაოები.>>* *ეკონომიკური ან სოციალური პროფილის პროექტის შემთხვევაში აღწერეთ, როგორ იქნება უზრუნველყოფილი პროექტის მიერ წამოწყებული/მხარდაჭერილი საქმიანობის/პრაქტიკის/პროდუქტის დაფინანსება პროექტის დასრულების შემდეგ.* ***საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გზის და მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს შემსრულებელი კომპანია.***

	საგარანტიო პერიოდის შემდეგ გზის მოვლა პატრონობა უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტის 020102 კოდში გამოყოფილი თანხებიდან. *მოწყობილი ტურისტული ცენტრის მოვლა პატრონობას ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია.*
პროექტის იდეის მომზადების სტატუსი	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია პროექტის მომზადების სტატუსის შესახებ. განსაკუთრებით, გთხოვთ მიუთითოთ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უკვე მომზადებულია თუ არა, ბიუჯეტი გამოყოფილია თუ არა და ა.შ:* *პროექტის საპროექტო-სახარჯთაღღიცხვო დოკუმენტაციის ნაწილი უკვე მომზადებულია. მიმდინარეობს ტენდერი დარჩენილი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით.*
მოთხოვნილი მხარდაჭერა	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მოსალოდნელი ფინანსური მხარდაჭერის მოთხოვნის შესახებ: 1713788 ლარი*
ვადები	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის განხორციელების საორიენტაციო დრო (თვეებში):*
პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის ღირებულება (ლარში), დაფინანსების წყაროები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სრიგპ-დან მოთხოვნილი გრანტის მინიმალური ოდენობა (პროცენტით):* *1. სრიგპ –1696650 ლარი* *2. პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები - 30000* *3. საკუთარი თანადაფინანსება – 7500 ლარი* *4. სხვა წყაროები – 0* *5. მთლიანი ბიუჯეტი – 1713788 ლარი*
პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი და საკონტაქტო მონაცემები	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელ. - ფოსტა):* *მაია აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და და ქონების მართვის სამსახურის, ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი, Mafkhazava123@gmail.com, 591232929.*

დანართი 1. საპროექტო იდეის განაცხადის ფორმა

საპროექტო იდეის სახელწოდება	*მიუთითეთ წარმოდგენილი პროექტის მოკლე სახელწოდება მის შინაარსზე მითითებით* ***ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ორაგვეში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტუის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირების მიზნით***
სრიგპ-სთან შესაბამისობა	***წარმოდგენილი პროექტი შესაბამისობაშია პრიორიტეტი*** ***პრიორიტეტი 4 ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება*** ***ღონისძიება 4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა***
საპროექტო იდეის წარმდგენი	*მიუთითეთ საპროექტო იდეის ოფიციალური წარმდგენი* *<<განმცხადებელი არის მუნიციპალიტეტი რომელიც დაფინანსებისთვის განაცხადით მიმართავს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს)>* ***ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია***
	ერთობლივი პროექტების შემთხვევაში, მიუთითეთ ძირითადი და პარტნიორი მუნიციპალიტეტ(ებ)ი: << მოცემული კონკურსისთვის, პარტნიორი არიან ორგანიზაციები, სააგენტოები ან/და მუნიციპალიტეტები, რომლებსაც ფულადი კონტრიბუცია არ შეაქვთ პროექტში, ასევე არ მიიღებენ ფინანსურ და მატერიალურ სარგებელს პროექტისაგან.>> ***პროექტი არ არის ერთობლივი.***
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო წინადადების წარმდგენის მისამართი: ***ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. #37***
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის ელ. - ფოსტა: <<გთხოვთ მიუთითოთ მოქმედი სამსახურეობრივი ელ. ფოსტა>> **http://lanchkhuti.gov.ge/** ***lanchkhuti@yahoo.com***
განხორციელების ადგილი	*რეგიონი:* ***გურია***
	მუნიციპალიტეტი: ***ლანჩხუთი***
	იმ ქალაქის/ები, სოფლის/ების ჩამონათვალი (თუ ერთზე მეტში ხორციელდება გააკეთეთ სრული ჩამონათვალი) ***სოფელი ორაგვე***
პროექტის მიზანი/მიზნები	*ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,200 სიმბოლო* *გთხოვთ, დააკონკრეტოთ პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნები* *<<როგორც წესი, მსგავს პროექტებს აქვს ორი ტიპის მიზანი:* <u>სტრატეგიული მიზნები:</u> • რეგიონისა და მუნციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის, დასაქმებისა და შემოსავლის ზრდა ტურისტული პოტენციალის ამაღლებისა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხარჯზე. <u>კონკრეტული მიზნები:</u> • ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

	• სოფელ ორაგვის უნიკალური ტურიესტული პოტენციალის გამოყენებით მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის გაზრდა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის *რეკომენდირებულია ლოგიკური ჩარჩოს გამოყენება პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნების, მათი შედეგების, ინდიკატორების და ვარაუდების/რისკების სწორი და ეფექტური ფორმულირებისთვის>>*
მოსალოდნელი შედეგები	*გთხოვთ, დაასახელოთ მოსალოდნელი შედეგები (მაქსიმუმ 2-3 შედეგი), რომელსაც პროექტის განხორციელება მოუტანს მოსახლეობას, ეკონომიკას ან მუნიციპალიტეტს. ასევე, მიუთითეთ კავშირი სრიგპ-ის შესაბამის ღონისძიების/ქვე-ღონისძიების შედეგებზე ან კონკურსის პირობებით განსაზღვრულ შედეგებზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი განსაზღვრულია. (წარმოდგენილი უნდა იყოს ორი ტიპის შედეგი:* *ა) გრძელვადიანი შედეგები (საბოლოო შედეგები) - ცვლილება, რომელიც პროექტს მოაქვს სამიზნე ჯგუფებსთვის მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის სახით პროექტის დასასრულს და ამ ცვლილებას აქვს პოტენციალი, განჭვრეტად მომავალში დადებითი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე.* *ბ) მყისიერი შედეგები - განხორციელების პროცესში ან პროექტის ბოლოს მიღებული პროდუქტი/ინფრასტრუქტურა/ცოდნა, რომელიც ემსახურება გრძელვადიანი შედეგების მიღწევას.* *შედეგები უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი, დროში განსაზღვრული. რეკომენდებულია ლოგიკური ჩარჩოს გამოყენება პროექტის შედეგების სწორად ფორმულირებისთვის).* <u>პროექტის გრძლვადიანი შედეგები:</u> • ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდის ხარჯზე გაზრდილია შემოსავალი ტურიზმიდან, როგორც მუნიციპალურ, ასევე რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე. • ამაღლებულია მუნიციპალიტეტის ცნობადობა • შექმნილია ახალი სამუშაო ადგილები. • გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები; • ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობამ უზრუნველყო ადგილობრივი ბიზნესით წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის ზრდა, <u>პროექტის მყისიერი შედეგები:</u> • მოწყობილია სოფელ ორაგვესთან მისასვლელი 4,300 კმ. სიგრძის გზა • ეშკანის კანიონთან მოწყობილია დასასვენებელი და საპიკნიკე ადგილები • სამების მთაზე მდებარე მე-7 საუკუნის გამოქვაბულთან მოწყობილია დასასვენებელი და საპიკნიკე ადგილები, სველი წერტილი, • მოწყობილია 2 კმ ველობილიკი და 2 კმ საფეხმავლო ბილიკი.
საპროექტო იდეის აღწერა/დასაბუთება	*გთხოვთ, წარმოადგინოთ პროექტის მოკლე აღწერილობა, მის სოციალურ-ეკონომიკურ როლზე და მის მიერ ადგილობრივ და რეგიონულ მასშტაბით ზეგავლენაზე აქცენტის გაკეთებით.* *გთხოვთ, დაასაბუთოთ რატომ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი. დაასახელეთ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება პროექტის განხორციელება, პოტენციალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს*

	პროექტის განხორციელებით. ასევე, მიუთითეთ შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებთან ან/და სრიგპ-ში მოცემულ ღონისძიებებთან კავშირი: ***ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფელი ორაგვე სილამაზით გამორჩეული სოფელია. მისი ისტორია მე-7 საუკუნიდან იწყება. სოფელში ეკოლოგიურად სუფთა უამრავი საპიკნიკე და გასართობი სივრცეა, სოფლის მშვენებაა ეშკანის წყალუხვი ჩანჩქერი. სოფელში ორი გამოქვაბულია (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი). სოფელს ბუნებრივი სიმდიდრეების სწორად გამოყენების შემთხვევაში არაჩვეულებრივი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ბოლო წლებში სოფელში აშენდა ულამაზესი სამონასტრო კომპლექსი. პროექტის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ორაგვესთან მისასვლელი 4,3 კმ გზის მოასფალტება, მოეწყობა საჭირო ხელოვნური ნაგებობები, ეშკანის კანიონთან მოეწყობა დასასვენებელი და საპიკნიკე ადგილები, მოეწყობა გამოქვაბულთან მისასვლელი საფეხმავლო ბილიკი, მოეწყობა 2 კმ ველობილიკი. პროექტის განხორციელების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ვიზიტორებისათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიმზიდველობა. გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები* ***მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულ დოკუმენტებში "ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა", "საშუალოვადიანი განვითარების გეგმა", ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებად სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება განიხილება. პროექტის განხორციელება სწორედ აღნიშნული მიმართულებების განვითარებას ემსახურება.***
ძირითადი აქტივობები	*გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ჩამოთვალეთ ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:* *ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 5,000 სიმბოლო* *<<მოცემული ველი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აქტივობებზე, რომლებიც განხორციელდება პროექტის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. მოცემული ველი უნდა აღწერდეს პროექტის მოსამზადებელ ეტაპებს/სამუშაოებს, მოსახლეობასთან კონსულტაციას, საპროექტო დოკუმენტების წინასწარ შეფასებას, ტენდერებს და კონკურსებს, პროექტის მენეჯმენტს, ტექნიკურ სამუშაოებს, ზედამხედველობას, ანგარიშგებას და ა.შ. აღნიშნულ ველში მითითებული ყველა აქტივობა სათანადოდ უნდა იყოს ასახული პროექტის ბიუჯეტში და დროის განრიგში. წარმოადგინეთ პროექტის მიზნების მისაღწევად საჭირო აქტივობათა დეტალური აღწერა. წარმოადგინეთ, როგორ იქნება სამუშაოები განაწილებული პროექტის განმახორციელებელ დაწესებულებებს/ორგანიზაციებს შორის>>* ***პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილია შემდეგი აქტივობების განხორციელება*** აქტივობა 1 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება აქტივობა 2 ექსპერტიზის დასკვნის მომზადება. აქტივობა 3 მოსახლეობასთან და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა. აქტივობა 4 სატენდერო კომისიის შექმნა აქტივობა 5 სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება აქტივობა 6 ტენდერის გამოცხადება აქტივობა 7 გამარჯვებულის გამოვლენა; აქტივობა 8 ხელშეკრულების გაფორმება გამარჯვებულთან;

	აქტივობა 9 საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების წარმოება; **აქტივობა 7 სამუშაოების მონიტორინგი და შეფასება;** **აქტივობა 8 შესრულებულ სამუშაოზე საექსპერო დასკვნის მომზადება** **აქტივობა 9. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება** **აქტივობა 10. პროექტის ანგარიშის მომზადება-პროექტის დახურვა;**
პროგრამისთვის/ღონისძიებისთვის განსაზღვრულ კონკრეტულ ინდიკატორებში პროექტის მონაწილეობის (წვლილის) დონე	*გთხოვთ, აღწეროთ თუ როგორ უწყობს ხელს პროექტი პროგრამის/ღონისძიებისთვის დადგენილი კონკრეტული ინდიკატორების მიღწევას:* *თუ თქვენი პროექტი არის ინფრასტრუქტურული ან მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერას, მიუთითეთ დასაქმებულთა რაოდენობის საპროგნოზო ზრდა %-ში, . (დაასახელეთ დამოწმების წყაროები)* • ***ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა 2022-2023 წლებში 2019 წელთან შედარებით 30%-ით;*** • ***ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა 2022-2023 წლებში 2019 წელთან შედარებით 15%-ით***
ურთიერთშევსებადობა	*გთხოვთ, მიუთითოთ, ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას.* *გთხოვთ, აღწეროთ, არის თუ არა ეს პროექტი ინტეგრირებული ხასიათის - ანუ ის დაკავშირებულია თუ არა სხვა პროექტებთან ან არის თუ არა უფრო ფართო გეგმის (მაგალითად, რეგენერაციის გეგმის, სატრანსპორტო გეგმის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის და ა.შ.) განხორციელების ნაწილი. თუ ეს ასეა, გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია განხორციელების წყაროს, ღირებულებისა და დროის შესახებ:* ***აღნიშნული პროექტი არ წარმოადგენს სხვა წყაროდან დაფინანსებული პროექტის გაგრძელებას.***
პროექტის მდგრადობა	*გთხოვთ, დაასახელოთ ვინ აანაზღაურებს საექსპლუატაციო და მიმდინარე ხარჯებს პროექტის დასრულების შემდგომ? გთხოვთ, დაასახელოთ დამფინანსებელი დაწესებულება ან/და დაფინანსების წყარო (ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):* *აღწერეთ როგორ იქნება შენარჩუნებული პროექტის საბოლოო შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ და ვინ/რომელი დაწესებულება/ორგანიზაცია იქნება საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელი.* *<<დაწესებულება/ორგანიზაცია პასუხისმგებელია უზრუნველყოს პროექტის მდგრადობა შესაბამისი რესურსების გამოყენებით. დაწესებულება/ორგანიზაცია ვალდებულია კერძო სექტორის, გარე რესურსების მოზიდვით უზრუნველყოს მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სამუშაოები.>>* *ეკონომიკური ან სოციალური პროფილის პროექტის შემთხვევაში აღწერეთ, როგორ იქნება უზრუნველყოფილი პროექტის მიერ წამოწყებული/მხარდაჭერილი საქმიანობის/პრაქტიკის/პროდუქტის დაფინანსება პროექტის დასრულების შემდეგ.* ***საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გზის და მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს შემსრულებელი კომპანია.*** ***საგარანტიო პერიოდის შემდეგ გზის მოვლა პატრონობა უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტის 020102 კოდში გამოყოფილი თანხებიდან.*** ***მოწყობილი ტურისტული ცენტრის მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია.***

პროექტის იდეის მომზადების სტატუსი	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია პროექტის მომზადების სტატუსის შესახებ. განსაკუთრებით, გთხოვთ მიუთითოთ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უკვე მომზადებულია თუ არა, ბიუჯეტი გამოყოფილია თუ არა და ა.შ:* ***მომზადებულია მისასვლელი გზის მოასფალტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მიმდინარეობს ტენდერი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით.***
მოთხოვნილი მხარდაჭერა	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მოსალოდნელი ფინანსური მხარდაჭერის მოთხოვნის შესახებ: 1200667 ლარი*
ვადები	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის განხორციელების საორიენტაციო დრო (თვეებში):*
პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის ღირებულება (ლარში), დაფინანსების წყაროები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სრიგპ-დან მოთხოვნილი გრანტის მინიმალური ოდენობა (პროცენტით):* *1. სრიგპ –1188660 ლარი* *2. პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები - 25000 ლარი* *3. საკუთარი თანადაფინანსება – 1207 ლარი* *4. სხვა წყაროები – 0* *5. მთლიანი ბიუჯეტი – 1200667 ლარი*
პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი და საკონტაქტო მონაცემები	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელ. - ფოსტა):* *მაია აფხაზავა,* ***ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და და ქონების მართვის სამსახურის, ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი, Mafkhazava123@gmail.com, 591232929.***